

სპორტული ჟურნალი

სპორტიველი

1981

20 წელი

2001



ENDSPIEL
Um den Pokal der europäischen Pokalsieger
Dynamo Tiflis – FC Carl Zeiss Jena

Offizielles Programm
1,50 DM

Europäische Fußball-Union

Deutscher Fußball-Bund



Mittwoch · 13. Mai 1981 · 20.15 Uhr
Rheinstadion Düsseldorf

1981 წლის
თასების მფლობელთა თასის
გათამაშების ფინალის პროგრამა

3 20 წელი
მოგონებები

ირაკლი გავრედიძე

9 ვიზალი დარასელია

10 20 წელი
მოგონებები

ირაკლი პერიაშვილი

18 აგვაპი
სასწაულმოქმედი
ფოკუსისა

სოლომონ გულიასვილი

20 ვალდი, ლონიერი,
სოსილიანი
გერმანელი

მერაბ რატიშვილი

22 სასალსო
კუნდი

კოვა ინასარიძე

24 იხის სპარტოველს
ნაქრებმა რას
აკეთებს?

გიორგი დარჯანიძე

26  **ლიგა**
უეფა  **UEFA CUP**



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე
სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი
დავით ნადირაშვილი
ოპერატორი ნინო უფუშნია

მრჩეველთა საბჭო:
ვასტანგ ზვიცაძე, სოლომონ
გულიასვილი, ავთანდილ
გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,
ზურაბ მეტეველია, ზურაბ ფოცხვერია

გაზეთი სარბიელის დაბეჭდვა

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» – 93 16 08

20 წელი



ფოტო: მ. ბერიძე

1981 წლის 13 მაისი. დიუსელდორფის „ჩაიზალაიოზი“ თბილისის „დინამო“ იანის „არალ ტაისს“ წაღება. იმ დღეს რამაზ მანგულია (№11), ლავით ყიფიანი (მარჯვნივ) და მათი თანაგუნდელები ისტორიის ბრწყინვალე ნაგებობაში

1980-81 წლები
ფინალი
13.V.1981 დიუსელდორფი „რაინშტადიონი“ 9000 მაყურებელი
დინამო 2:1 კარლ ტაისი
 <p>დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაპიტანი 68), სულაძე, გუცაფევი, ყიფიანი, შენგელია</p>
 <p>კარლ ტაისი: გრაპენტინი, ბრაუნერი, შოპე (ოვერმანი 89), შილინგი, კურბიუვაიტი, შნუპჰაზე, კრაუზე, ლინდემანი, ბილაუ (ტიოპფერი 76), რაბი, ფოგელი</p>
<p>მსაჯი: რიკარდო ლატანცი (იტალია) გოლი: შოპე (63), გუცაფევი (67), დარასელია (87)</p>


ზუსტად ოცი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, როცა თბილისის „დინამომ“ ითამაშა თავისი ერთადერთი ევროპული ფინალი. ითამაშა და მოიგო, თავის ქვეყანას და გულშემატკივრებს მიუძღვნა ერთადერთი დიდი საერთაშორისო ჯილდო — თასების მფლობელთა თასი.

1981 წლის 13 მაისის დარი თარიღები ბევრი არ არის გასული საუკუნის არათუ მხოლოდ სპორტის, არამედ მთლიანად ქვეყნის ისტორიაში. ეს ის თარიღია, თათბიდან თათბას რომ გადაეცემა არა მხოლოდ ტელეეკრანის მეშვეობით, არამედ უბრალო ადამიანური ურთიერთობებით. სწორედ ამგვარად, დროით მოწმდება და იქმნება დიდი თარიღები და სანამ ერთი ქართველი მაინც იქნება დედამიწის ზურგზე, ის ღამე — დიუსელდორფისა და თბილისისა იარსებებს.

ჩვენ კი მოვუსმინოთ იმ ფინალის გმირებს. იგონებს ოცი წლის წინანდელი თბილისის „დინამო“. უკეთესად ვერც მოიგონებს ვინმე.

თათარ ეაჭელია

გურამ დოღანაშვილი



დღეს იოლი გასახსენებელია ყველაფერი, მაგრამ როცა ვიცი რამხელა შრომა, თავდადება და მონდომება წაიღო იმ გამარჯვებამ მიკვირს კიდევ, ნუთუ ჩვენ ეს შევძელით.

13 მაისს შიში არ ვიცოდით რა იყო. საერთოდ, ყველა მატჩში მოსაგებად გავდიოდით. ერთნი ვიყავით, ერთმანეთის იმედად და ერთმანეთის თანადგომისთვის მზად.

ფინალი ერთი თამაშია, ერთი შეცდომა, ემოციებს აყოლა და ყველაფერი წყალშია ჩაყრილი. სწორედ ამისთვის მოგვამზადა ცხონებულმა ახალკაცმა, სხვა დანარჩენი — ფიზიკური მზადყოფნა, ტაქტიკა, მართალია, ძალზედ მნიშვნელოვანი, თუმც მორეზარისხოვანი იყო.

ხშირად მეძალებოდა ემოციები, მაგრამ 13 მაისს ყველაფერს მოვერიე. ეს არ იყო მხოლოდ ფინალი, რა თქმა უნდა, არც ჩემპიონატის პრინციპული თამაში. ეს იყო ისტორიული მატჩი არა მხოლოდ „დინამოსთვის“,

არამედ საქართველოსთვის. და ამის შემდეგ გეკითხებით, მქონდა თუ არა უფლება ემოციებს ავყოლოდი, ერთი შეცდომა დამეშვა?! ბიჭების თანადგომას ყოველ წამს ვგრძნობდი, ამან კარგად იმოქმედა.

გერმანიაში ჩასულებმა ბარგი მივიღეთ და ჩემი ჩანთა სადღაც გამქრალიყო. წარმოიდგინეთ, არც მაშინ ავღელდი, სულაც ტრუსის ამარა რომ დავრჩენილიყავი, მაინც ვითამაშებდი.

მეორე ტაიმი ცუდად დავინყეთ, „კარლ ცაისმა“ გოლის გატანამდეც გააფუჭა ერთი ხელსაყრელი მომენტი. მერე გოლი გავუშვით და ჰოპემაც ცეცხლზე ნავთი დაასხა. მაინც გვჯეროდა, რომ თამაშს შემოვატრიალებდით.

...თბილისი, ზღვა ბედნიერება, ზღვა სიხარული... ქომაგმა მიწაზე ფეხი არ დაგვადგმევინა, ტრაპიდან ავვიტაცეს და ხელახელ გვატარეს. მაშინ მივხვდი რაც მოხდებოდა საქართველოში 13 მაისის ღამეს.

თამაზ ყოსცაყა

ათლეტური, ღონიერი გუნდი იყო „კარლ ცაისი“. ფინალამდე მათი ვარჯიში რომ ვნახეთ, შეფიქრიანებულები ერთმანეთს ვეკითხებოდით, ამათ ვოლი როგორ უნდა გაგუტანოთ. დაკუნთული მთავაცები დარბოდნენ მინდორზე. ნოდარ ახალუაცმა ჩვენს სახეზე წაიკითხა ჩვენი ფიქრები. ერთად შეგვყარა და დაგვაშევიდა — ძალას


ხერხი დაგუბირისპირით. ყველაზე ვიცოდით მოედანზე რა გვეკეთებინა. 13 მაისს მოსაგებად ვითამაშეთ საქართველოსთვის, ქომავისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის... გერმანელები დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში. თამაშამდე „კარლ ცაისის“ წარმომადგენლები მოვიდნენ და გაგვაფრთხილეს, ფინალის შემდეგ ბანკეტზე გეპატიჟებით. შენც არ

მომიკვდე, რომ წააგეს ბანკეტი არ იქნებო, შემთავალეს. ვოლი რომ გაგუშვით, დაბნეულები ვერაფერს ვხედავდით. არ ვიცი საიდან მოგვეცა ის ძალა, რამაც ყველაფერი თავიდან დაგვაწყებინა. წუთის შემდეგ მძლავრად შევუტით და ცოტა ხანში მეტოქე წაქცეული ვეყავდა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რაც გასახდელში და მერე სასტუმროში მოხდებოდა. შამპანურით სავსე თასთა თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. სასმელი შემოგვევლია და მომსახურე პურსონალმა სასტუმროს პატრონი გააღვიძა, თავიდან წამოვიდა შამპანურის წვიმა. ერთადერთი შემთხვევა იყო, ნოდარ ახალუაცს მატჩის შემდეგ დასვენება რომ არ უხსენებია. საფეხბურთო სეზონი ხომ დამთავრებული იყო.


ბურაბ ფოლენჯაშვილი



ალექსანდრე ჩიკაძე



გურამ დოღანაძე ფოტო



13 მაისი საგანგებო თარიღია ჩემთვის. 20 წლის წინ უდიდესი მნიშვნელობის რამ მოხდა ქართული ფეხბურთისთვის, მთლიანად ქართველი ხალხისთვის გასასხენებელი ბევრია, იმდენი, ერთი და ორი დღის საუბარი რომ ვერ მოილევს...

დიუსელდორფში იმედინად ჩავედი. ზურგს გვიმაგრებდა ათასობით ქომაგის მოლოდინი და მხარდაჭერა გზაზე დამდგართ რომ გვაგრძნობინეს. მატჩის წინადღით ვარჯიში გექონდა და ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი მომხვდა სახეში. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ცხვირიდან სისხლი წამსკდა, თანაც ისე, რომ ვერაფრით შემჩიერეს. გაოფლიანებული ბალახზე წამოვწექი და თავი

გადავნიე. ამ გზით სისხლი კი შემჩიერდა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა დიდი შეცდომა დავუშვი. საღამოს 40 გრადუსი სიცხე მომცა, ლაპარაკის უნარიც წართმეული მქონდა.

მედიკამენტების მიღება გამორიცხული იყო, დოპინგ კონტროლზე რომ გავეყვანე ვინმეს ყველაფერი სავალალოდ დასრულდებოდა. ერთი გზა რჩებოდა და ზაქარია თელიამ მამაპაპური მეთოდებით მიმკურნალა. მატჩის დღეს სიცხე აღარ მქონდა, მაგრამ მოედანზე გასვლის წინ სუსტად ვიყავი, თუმცა დაიწყო თამაში და ყველაფერი შეიცვალა, თითქმის ახალი ძალა შემოვიდა ჩემში, ისე ვგრძნობდი თავს. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და მთელი 90

წუთის განმავლობაში ერთხელაც არ გამჭირვებია, ოდნავადაც არ მიგრძენია დალლა და დარწმუნებული ვარ ბიჭებიც იგივეს გრძნობდნენ. საფინალო სასტვენის შემდეგ რას ვაკეთებდი ზუსტად აღარც კი მახსოვს ერთი რამ მაგონდება მხოლოდ, ბიჭებთან მივირბინე და ყველამ იმ ტრიბუნისკენ გავემართეთ მცირერიცხოვან ქართველ გულშემატკივართა განცდებს რომ ვეღარ იტევდა... სანუკვარ თასთა თასში ექვსი ბოთლი ღვინო ჩადიოდა, ცხადია, ერთ ჯერზე მისი დაცლა აზრადაც არავის მოგვსვლია, ვერც შევძლებდით, ყველამ სიმბოლურად დავლიეთ იმ თასიდან და ბოლოს წვეთიც არ დარჩენილა შიგ.

თვითმფრინავის ტრაპიდან თბილისის აეროპორტში ჩამოსვლის შემდეგ კი კარგა ხანს ვერ გავაცნობიერე თუ რა ხდებოდა ჩემს თავს, მგონი მინაზე არც დამიკარებია ფეხი, ხან სად ამაგდებდნენ ჰაერში, ხან სად... სამწუხაროდ, მას შემდეგ ქართულ ფეხბურთს ამ დონის წარმატება აღარ ჰქონია და ვცხოვრობთ მხოლოდ მოგონებებით. მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ქართული ნიჭი ფეხბურთში თავის სიტყვას კვლავ იტყვის.



შაჩარდი წამო: ეუფას პრეზიდენტი არტემიო ფრანკი „დინამოს“ დიდ აპრიტანს ალექსანდრა ჩივაქს თასების მფლობელთა თასს გადასცავს

ნოდარ სიზანიძე



გურამ დოღანაშვილი



თამაშის ხარისხით ფინალი ნაკლებად გამოირჩევა ხოლმე, მას უფრო სხვა დატვირთვა აქვს — დაძაბულობა, პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. ალბათ, ასეთიც უნდა ყოფილიყო მატჩი „კარლ ცაისთან“

თამაშის წინ ნოდარ ახალკაცს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. ყველამ ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა, როგორ უნდა გვეთამაშა. პირველი ბურთიც რომ გაგვეშვა, ამისთვისაც მზად ვიყავით.

როცა 63-ე წუთზე ჰოპემ გოლი გაგვიტანა, ერთი წამითაც არ გვიფიქრია, რომ მატჩი წაგებულა. ძალ-ღონე მოვიკრიბეთ, გაშვებულმა ბურთმა უფრო დაგვმუხტა და რომ იტყვიან მერე სუნთქვა გაგვეხსნა.

სამი წუთით ადრე კი ვიტალი დარასელიამ...

ეს გახლდათ, ყველაზე ამაღლებული წუთები. ვიტალის გოლი იყო საკუთარ თავში დაჯერებული კაცის მიერ შესრულებული სანახაობა.

ვიცოდით, ვერძნობდით რაც ხდებოდა საქართველოში. შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ ყელა ფეხბურთელი ოჯახებს დაგვაკავშირა. ტელეფონში გვემსოდა სიხარული, ხმაური. ალბათ, ასეთი რამ სტადიონზეც არ ხდებოდა. არანაკლებ გახარებული და გამარჯვებისგან თვალეზანთებულიყო 300 ქართველი ტურისტები ვახტანგ ტატიშვილის თამაშობით. სად და როგორ დახარჯულიყვნენ ემოციებისგან არ იცოდნენ.

პორსტ მიულერი




დიუსელდორფში, ქალაქარეთ, ბრწყინვალე სასტუმროში ვცხოვრობდით. გადავწყვიტეთ, მეორე დღესაც დავრჩენილიყავით გერმანიაში. მასსოვს ქალაქში რომ გავიარეთ, ტელევიზორებში ჩვენს ფინალს იმეორებდნენ.

ტრიბუნებზე მხოლოდ 9 ათასი ქომაგი, ვფიქრობ, მხოლოდ ჩვენს გამო არ იჯდა. უფრო ერთგვარი პროტესტი გამოხატეს „კარლ ცაისის“ მიმართ, არადა, იენელებს იმ პერიოდისთვის ურიგო გუნდი ნამდვილად არ ჰყავდათ, საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჩამოიცილეს ფინალამდე. მეორე მიზეზი და, ალბათ, უმთავრესიც, ის იყო, მათი საყვარელი დიუსელდორფის „ფორტუნა“ ადრეულ ეტაპზევე რომ გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას, თუმცა ისიც კარგად იცოდნენ, რომ ტურნირში მასზე ძლიერი კლუბებიც თამაშობდნენ.

კიდევ, მახსენდება ჩასვლისას ოთარ გაბელიამ აეროპორტში ფორმა რომ დაკარგა. ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო. ოთარი უადრესად ემოციური კაცია და ამ ემოციურობით ის ერთგვარ მობილიზებას უკეთებს საკუთარ თავს. მაღლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, დაკარგვაც კარგად დაგვებედა და მერე, ახალი ფორმაც რომ ჩაიცვა სასიამოვნო იყო.

თამაშის ბოლოს ტელეეკრანიდან გამოგზავნილ ჰაეროვან კოცნას მერე ბევრი ჩემი მეგობარი იბრალუბდა, არა მე შეკუთვნის და არა მეო. ეს კოცნა ყველას ეკუთვნის, სრულიად საქართველოს. ეს არ გახლდათ წინასწარ განზრახული, დაგვემილი, ჩემდაუნებურად, მოულოდნელად მოხდა. იმ დროს პირველად გადაწერა აკრძალული გვქონდა. დღეს კი ყველა პირველად იწერს და ერთმანეთს კოცნის. სიხარულისგან რა მექნა არ ვიცოდი. ალბათ, ფეხბურთში ერთ-ერთი მოდის შემომტანი მე ვარ, არა?

გია თაყაიძე



გურამ დოლაბაძე

პორსტ მიულერი



დიუსელდორფის დიდ გამარჯვებას რომ ვისხენებ, უპირველესად ის შრომა მაგონდება მის მისაღწევად რომ გავწიეთ — ეს არის უმთავრესი შთაბეჭდილება. იქ „რაინშტადიონზე“ კი ჩემი ყურადღება ჩვენს საქომავოდ მოსულმა ქართველმა ემიგრანტებმა და ებრაელებმა მიიპყრეს. ხომ იცით, კომუნისტური რეჟიმის დროს ასეთი რაღაცეები განსაკუთრებით მძაფრად აღიქმებოდა. კიდევ, მასსოვს, ტრიბუნაზე ქართველებს დიდი გარბონი ჰქონდათ მოტანილი და უკრავდნენ. მათმა დაკვრამ გერმანელი მაყურებელიც ძალიან გაახალისა და ცეკვა დაიწყო.

ვიტალი და დასვლია

ირაკლი გაყვარლიძე

უცნაური სულაც არ არის, რომ ნებისმიერი საფეხბურთო მატჩის ცქერისას ვიტალი დარასელია გაგასხენდეს ზოლმე. არა იმიტომ, რომ ვილაცას მიაძგავსებ, არამედ, უფრო იმიტომ, რომ ვიტალი დარასელია დღეის ფეხბურთელი იყო.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ვიტალი დარასელია ისეთი ფეხბურთელი იყო, რომელსაც არასოდეს შეეხება გულშემატკივართა მარადიული კამათი იმის თაობაზე, როგორ ითამაშებდა ძველი თაობის ფეხბურთელი დღევანდელ პირობებში. ვიტალი დარასელია სწორედ იმგვარი მოთამაშე გახლდათ, თამაშის ყველანაირ ხერხს, კონდიციას თუ სიახლეს რომ მოერგებოდა.

დღევანდელ დიდ გუნდებს რომ გადავლებთ თვალს, ყოველგვარი ბაქიაობის გარეშე იტყვი, რომ ის ვიტალი დარასელია 20-25 წლის წინათ რომ თამაშობდა ფეხბურთის თბილისის „დინამოში“, დღესაც ითამაშებდა სწორედ აი, ამ დიდ გუნდებში, სწორედ იმ თავის ფეხბურთის.

იმიტომ, რომ ვიტალი დარასელიას ფეხბურთი ზოგადად ვარსკვლავური კი არ იყო, არამედ გასაოცრად ცოცხალი, ტექნიკური, ჯანიანი და სწრაფიც. ვიტალი დარასელია მუშა იყო და უღამაზესი გოლები გაჰქონდა. ვიტალი დარასელიას მოხდენილი დრიბ-

ლინგი ჰქონდა და გარეგნული იერით დღევანდელ საყრდენ ნახევარმცველებს ჰგავდა. ვიტალი დარასელიას ზუსტად და ეფექტურად დარტყმა შეეძლო და თავის ფლანგზე არასოდეს იკეტებოდა. ამგვარ თვისებათა ერთობლიობა მას დღესაც უადრესად თანამედროვე ფეხბურთელად დაგვანახებს.

ის ნახევარმცველი იყო და ისეთი გოლები გაჰქონდა, ნახევარმცველებს რომ გააქვთ. თავისი გოლების სრული უმრავლესობის შემოქმედი დარასელია თავადვე იყო და ამ გოლებს ბრწყინვალე შემსრულებლის ბეჭედი ელო. მისი გოლები აღწერა ახლა შორს წავიყვანა, არადა, საჭირო კია. თუნდაც იმიტომ, რომ მის არცთუ ხანგრძლივ საფეხბურთო ბიოგრაფიაში, ყველა გოლი გადაფარა იმ ერთმა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანმა გოლმა, დიუსელდორფში, თასების თასის ფინალში რომ გაიტანა ვიტალი დარასელიამ.

იმ გამარჯვების გოლმა, თამაშის 87-ე წუთზე რომ შეაგდო დარასელიამ თბილისის „დინამოს“ ერთადერთი ევროპული ტიტული მოუტანა.

ეს გოლიც ვიტალი დარასელიას შემოქმედება იყო. მან თავად შექმნა ეს გოლი.

ამის აღწერაც უადგილოა, ლეგენდარული გოლების სიტყვებით აღწერას დიდი ლიტერატურა სჭირდება. და საერთოდ, ვიტალის ის გოლი უნდა აღწეროს ყველამ,



ვიტალი დარასელიას ქართული ფეხბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გოლი გააქვს



საარაბული არქივიდან

ვისაც კი უნახავს. ამ გოლმა გადაფარა-
მეთქი მისი სხვა გოლები, სხვა გამარჯვე-
ბები. გადაფარა თავისი მნიშვნელობით, თუ-
მცადა ამ გოლს უკან იდგა ნამდვილი ფე-
ხბურთელის ნამდვილი კარიერა, რომელიც
სხვა დროს და სხვა ვითარებაში სულ სხ-
ვაგვარი ბრწყინვალეებისა იქნებოდა და და-
ფასებაც სხვაგვარი შეხვდებოდა: აკი ვთქვით,
ის მსოფლიო ფეხბურთელი იყო.

საგაზეთო არქივიდან

ვიტალი დარასელია მაშინ წავიდა ამ
ქვეყნიდან, როცა თბილისის „დინამო“ მის
ამტან მხრებზე შემოვლელი უნდა გასც-
ლოდა გასაჭირსა და ძვლებდობას.

ვიტალი დარასელიას დიდხანს არ უთამა-
შია ფეხბურთი, სულ ხუთ-ექვს წელიწადს
იყო მოედანზე და ამ დროში იმდენი მოა-
სწრო, რომ მისი დაღუპვა არა მარტო ოჯა-
ხურ ტრაგედიად იქცა, არამედ საქვეყნო
უბედურებადც.

ვიტალი დარასელია უკვდავი ფეხბურ-
თელია:

ალალი, კეთილი და თავმდაბალი ბიჭი,
რომელსაც თავის სახელსა და დიდებაზე
არ უზრუნია და რომელმაც რაც გააკეთა,
ხალხის სამუდამო სიხარულად დარჩა.

სიხარულად და ალბათ, სამუდამო წუ-
ხილად.

ჩვენ გვყავდა ბიჭი, რომელმაც გამარჯ-
ვება გვაჩუქა და რომელიც დღეის ფეხბუ-
რთელი იყო.



ზაქარ სვანაძე



გურამ დოლოჯაძის ფოტო

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. ეს მა-
ლიან დიდი დროა, მაგრამ ოდნავადაც ვერ
შლის მეხსიერებიდან დიუსელდორფულ მო-
გონებებს. საოცარია, მაგრამ როდესაც ცუდ
ხასიათზე ვარ 1981 წლის მაისის დაუვი-
წყარ დღეებს ვისვენებ და გული სიხარუ-
ლით მეკვება. ამ გამარჯვებამდე ნელ-ნე-
ლა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით. ფინალის წინ
ოდნავადაც არ გვეპარებოდა ეჭვი ჩვენს
გამარჯვებაში, ეს არ იყო ზღვარგადასუ-
ლი თავდაჯერება, ეს იყო რწმენა იმისა,
რომ ნანატრ მწვერვალზე ავალწევდით. ჰო-
პეს გოლის შემდეგ, ერთი წამითაც კი არ
მიფიქრია, რომ მარცხის წინაშე ვიდექით.
დიდებული იყო ჩემი თითოეული თანაგუნ-
დელი. ცხონებული დარასელიას გოლის
გახსენებისას ტანში ფრუანტელი მივლის.
უდიდესი სიამაყის გრძნობა დამეუფლა
დიუსელდორფიდან მოსკოვში ჩასვლისას.
საოცარი იყო, სხვადასხვა ეროვნების ადა-
მიანები ჩვენით ხარობდნენ, ჩვენით იყვნენ
ბედნიერნი. ეს საოცარი განცდაა. თბილი-
სურ დახვედრაზე კი არაფერს ვამბობ, მს-
გავსი აღიარება ბევრისთვის მიუღწეველია.
ეს იყო ჩვენი ერის უდიდესი სიხარული და
ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ამის ერთ-
ერთ შემქმნელად გამხადა.
ცხოვრებაში არ მქონია მსგავსი განცდა.




თენგიზ სულაქველიძე

მურამ დოლიძის სახელობა



— მატჩისთვის ჩვეულად ვემზადებოდით, რაიმე ვანსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ფინალში თამაში ფეხბურთელს იშვიათად უწევს, მაგრამ ჩვენთვის ეს არ იყო მთავარი, უნდა მოგვევო — ეს ვათვითცნობიერებელი გვექონდა. ასეც მოხდა. „კარლ ცაისი“ შემადგენლობით ჩვენზე უკეთესი არ ყოფილა. — ნოდარ ახალკაცმა ჩვეულ პოზიციაზე, მცველების წინ საყრდენად გამამჩქესა. მოედნის ცენტრი უნდა დაიპყროთ, გვითხრა. ჰოდა, მოგეხსენებათ, თამაშს იგებს ის, ვინც უკეთ ითამაშებს ნახევარ დაცვაში და ჩვენც გერმანელებს ამაში ვაჯობებთ. — გოლი რომ ვაგვიტანეს, გამარჯვების მაინც გვჯეროდა, ყველაფრისთვის და ყველახანირად

მომზადებულნი ვიყავით. ხოლო როცა ანგარიში ვაგათანაბრეთ, კიდევ უფრო მეტი სტიმული მოგვეცა. დამატებით დროს ველოდით, მაგრამ რაც ვიტალი დარასელიამ შეასრულა, ასეთი რამ მართლაც იშვიათად ხდება. რომ არა დარასელიას გოლი, დემეტოშ უწყის რა მოხდებოდა. — ამ გამარჯვებას ჩვენთვის მატერიალურად დიდი არაფერი არ მოუტანია. დიუსელდორფში 500-500 დოლარი დაგვირიგეს ფეხბურთელებს, თბილისში 500-500 მახეთი და ავტომანქანა „ვან 24“-ის თავის ფასში შექენის შეღავათი გვიბოძეს. მაგრამ ამ დროს ასეთ რამეებზე ნაკლებად ვფიქრობდით, რასაც ვვამლევდნენ იმით ვკმაყოფილდებოდით. თცი



წელი ვავიდა მას შემდეგ, მაგრამ ამ გამარჯვებას დღესაც იხსენებენ და სპორტსმენისთვის ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს? ახლა ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას ვხელმძღვანელობ და ძალიან ბევრი ადამიანი მიდვას გვერდში, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ დიუსელდორფის ტრიუმფის ერთ-ერთი მონაწილე ვარ.

ვლადიმერ ვეცაივი

ანბარიში რომ გავათანაბრე, ვიფიქრე დამატებითი დრო იქნებოდა. მერე დარასელის გადაწყვეტ გოლამდე ერთი-ორი წუთით ადრე კი დარწმუნებული ვიყავი ნახევარსათის კიდე მოგვიწვედა თამაში. საბედნიეროდ, მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ მოხდა. მჯეროდა, „კარლ ცაისი“ გოლს ვეღარ გაგვიტანდა. ერთ ვერ გადმოგცემთ იმას, მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე რაც ვივრძინე. მეცხრე ცაზე ვიყავი.


მატჩის შემდეგ კი მე და ნუკრი კაკილაშვილი სამი საათი დობინგ-კონტროლის ოთახში ვისხედით. ისეთი დადღილები ვიყავით ანალიზი ვერ აგვიღეს და ამდენ ხანს გვაყურყურტეს. თუმც არ მოგვიწვევია, ჩინებულ გერმანულ ლუდს და კოკა-კოლას მივირთმევდით. მერე, როგორც იქნა, ჩავაბარეთ ორასი გრამი შარდი და მასპინძლებმა მანქანით სასტუმროში წაგვიყვანეს. იქ უკვე ერთი ამბავი იყო, გუნდთან ქართველები მისულიყვნენ. ყველანი ხელის გულზე გვატარეს. ჩვენც, რა თქმა უნდა, კარგად მოვუღზინეთ — უბედნიერესი დღე იყო.

სითბო და პატივისცემა არც მოსკოვში დამგვკლვია, სადაც დიუსელდორფიდან ჩავფრინდით. უნდა გენახათ აეროპორტში რა ხდებოდა, თუმც კი თბილისში დახვედრასთან აბა, ეგ რა მოსატანია. ზღაზმა მიწაზე ფეხის დადგამაც არ გვაცალა, ტრაპიდანვე ხელში აგვიტაცა. ჩვენც ცაში დაფურინავდით, ვამაფობდით. როგორი საქმეა, ქვეყანა უზომოდ გავახარეთ...



ვლადიმერ ვეცაივი

სარკინოლის არქივიდან



დავით ყიფიანი

CWL TELESPORT
UND
MARKETING AG

lotto

Sanet
internet

რე




მურაბე დონეცკის არქივიდან

ბატონმა დავით ყიფიანმა „სარბიელის“ კორესპონდენტებთან საუბარი არ ისურვა

მამაშენეულია

გურამ დოლიძე



იმ დროისთვის „კარლ ცაისს“ თითქმის გაუვალა დაცვა ჰყავდა. გოლს გაიტანდნენ და მერე არც უპირატესობის შენარჩუნება უჭირდათ. ფინალში მეტოქემ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა. დანინაურებულმა ისევ შემოგვითია, გახსნილ თამაშში კი უპირატესობა ჩვენი იქნებოდა. ეს კარგად ვიცოდით და შეტე-

ვებს შეტევებით ვუპასუხეთ.

...ერთ მცველს გავცდი, მეორეც ჩამოვიტოვე და ის იყო ბურთს უნდა შევეყოლოდი, რომ გუცავეი დავლანდე. აშკარად უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდა. დაძაბული შევცქეროდი ვოვას... ბურთი გრაპენტინს გასცდა თუ არა დავრწმუნდი, თასს თბილისში წავიღებდით.

ერთ ნაშბი რამაზ ხანგულია ვლადიმერ გუცავეს საგოლუ პასს გადაწოდებს და ანგარიში გათანაბრდება





ფეხბურთელები. 13 მაისი. დიუსელდორფში. „კაიზერშტადიონში“. თავსები თავის გულგებელ თაობებს „დინამო“

ფაანს: პლემნაღესა ჩინაჰა, მთარა ზაჰაჰლია, ნოფარ სირანოშვილი, ლაშით ზიჰოშანი, შირან პლესჰაჰა, მინაიო სულაჰმედიჰი, შირკანი ჟიჰანი, ზაჰა ზაჰანი, ჯაჰლო მთაჰლიჰი
სწორან: ზაჰარ სანაჰა, მინაჰი კონტაჰა, რაჰაჰი შინაჰლია, ნოჰიო კაჰილაშვილი, პლესჰიჰა გუნაჰი, შირ მინაჰი, შირკანი ლარსაჰლია

ნაჩრო ჩაჩილაძევილი



ბურაბ დოლენჯაშვილი



სის და უნეტარესის დეპეშა, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმული გამოდგა. ღმერთი თქვენთან არის ბიჭებო — ნოდარ ახალკაცმაც ამით დაიწყო ჩვენი დამოდღვრა „კარლ ცაისთან“ მატჩისთვის.

მწვრთნელები თავიდანვე აპირებდნენ ჩემს დაყენებას ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. როცა შეცვლაზე შევდიოდი ახალკაცს ჩემთვის რაიმე განსაკუთრებული დავალება არ მოუცია — მარჯვენა ფლანგზე მეტოქე ამოკეტე და წინაც იაქტიურეო.

ბევრი მეუბნება, დარასელიას გოლში შენც მიგიძღვის დიდი წვლილიო, თუმცა გოლი, ცხადია, მთლიანად ვიტალის დამსახურებაა. ჩემი წვლილი ამაში დიდი-დიდი 2-3 პროცენტი თუ იქნება. თანაც მეტოქის ბლოკირებისთვის მსაჯს შეეძლო ჯარიმაც კი დაენიშნა, მაგრამ რიკარდო ლატანცი იმ ეპიზოდში, ალბათ, მე არ მიყურებდა.

— უზომოდ დიდი სიხარული იყო. მატჩს უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ. ხვევნა-კოცნა, მილოცვები... თბილისში და თბილისიდან დარეკვები...

იყო კურობიცი. დოპინგ-კონტროლზე მე და ვლადიმერ გუცაევი გაგვიყვანეს. შარდი უნდა ჩაგვება-რებიანა, მაგრამ თამაშის შემდეგ ისე ვიყავით გამოფიტულები და სითხისგან დაცლილები, რომ ეს უცებ ვერ შევძელით. ჰოდა, შემოგვიტანეს ნაირნაირი გამაგრილებელი სასმელი, ლუდი. ერთი სიტყვით, ორი-სამი საათი მოუნდა ამ საქმეს და ზეიმსაც გვიანდა შეკურთღით.

თბილისის აეროპორტიდან შევარდნაძის გარდა ლამის რესპუბლიკის მთელი მთავრობა გვაცილებდა. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი კი შოთა გორგოძე ვახლდათ.

დიუსელდორფში მეტად კომფორტულ სასტუმროში დაკვინავდით, იქვე იყო ორი მინდორი. სასტუმროს მუპატრონე ქალბატონი ვახლდათ, რომელიც ძალიან თბილად იყო განწყობილი ჩვენს მიმართ და მატჩის შემდეგ სახელდახელოდ პატარა ბანკეტიც მოგვიწყო.

თამაშის წინ მივიღეთ უწმინდე-

შოთა სინჩაეაძევილი

ბურაბ დოლენჯაშვილი



ბული საშინლად დამწყდა, როცა ვაგვივე თბილისში ვრჩებოდი და გერმანიაში გუნდს ვერ მივყვებოდი. ისიც ძნელად გადავიტანე ფინალს რომ ვტოვებდი და მორიგმა ფსიქოლოგიურმა სტრესმა ბოლო მომიღო. ჩემთვის თვითმფრინავში ერთი ადგილი ვერ გამოინახა, არადა, როგორც მინდოდა ბიჭებთან ერთად ვყოფილიყავი, გამეძინევაბინა.

ფინალის დღეს მხოლოდ ფიზიკურად ვიყავი თბილისში. ვერაფერს გამჩნევდი, ვერაფერს ვგრძნობდი. თამაშს ოთახში გამოკეტილმა, მარტომ ვუყურე. გოლი რომ გაგვიტანეს გავთავდი კაცი,

ვძაგაძაგებდი, თვალთ დამიბნეულდა. არ ვიცი, რა დამეძმართებოდა „დინამოს“ რომ წაეგო.

მსაჯმა რომ ჩასტვინა, ადრევე გამზადებული შამპანურით სავსე ყუთი ხელში ავიტაცე და აივანზე გავვარდი. კაცი თავიდან დავიბადე, მილოცავდნენ და ვნატრობდი, ახლა გერმანიაში გადამაფრინა-მეთქი.

მე მაინც ბედნიერი კაცი ვარ, რადგან 13 მაისის ღამის თბილისი ვნახე.

სტადიონისკენ დაძრული ხალხის ზღვა უდიდეს ბედნიერებას ასნივებდა. ბიჭებს ეს არ უნახავთ, მერე ვუყვებოდი. მაინც რა

სიხარული ვაჩუქეთ საქართველოს, თუნდაც ამისთვის ღირდა თითოეული ჩვენგანის მთელი კარიერა.

ვაჟა ვანიანი

დღისმშობლივან ვამზარებულს ხალხი ხოლო ვაგვყავთ თბილისიდან. ჩვენ, ფეხბურთელებს რაღაც ვრანდიონის მოლოდინი გვქონდა. ჩვენი დიუსელდორფში და პირდაპირ სასტუმროში ვავემზავრეთ. სასტუმროს შესასვლელთან ვაოცებულნი ვიდექით, ჩვენ წინ ვურულ-შეგრული ოდეზის მხვალები კომპლექსი ვადაიშალა. შივნი რომ შევედით, თავი ზღაპარში შევინა, გუნდის ექიმში ზაქარია თელია ხუმრობდა, ეს რა მკლარსა, ცოცხალი ვარ და უკვე სამოთხეში მოვხვდით. ვაქონებით ვაწყობილი კორტები, თვალწარმტაცი ბარები, ვასართობი თიანები დღესაც თვალწინ მიდვას და რამდენ ქვეყანაში აღარ ვყოფილვარ მას მერე, მაგრამ მხვალები შთაბეჭდილება ჩემზე არცერთ სასტუმროს არ მოუხდენია. წინ კი მორიგი ხალხობა და უსოლო ხიხარული გველოდა. სასტუმროში სატელეფონო ზარები არ წედებოდა, თვალცრემლიანი ვესაუბრებოდით უცნობ თანამემამულეებს. ემიგრანტები იყვნენ, ხანკლებსაც ვერ გვეუბნებოდნენ. კავებე მძლავრად მუშაობდა, ამ ვარემოებას ბევრი არ შეუშინდა და სასტუმროშიც შემოიპარა, ხალხი თანადგომა ვივრძენით, გული ხოლოთი გვქონდა ხავსე, ამ ფაქტორმა არცთუ მცირე როლი თიამაშა ჩვენს წარმატებაში. ამის

შესახებ სამშობლოში დაბრუნებისას, ცხადია, არაფერი ვვათქვამს, ვერც ვიტყვით, ისეთი დრო იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ მასინდელი ხოლო დღემდე ვველა ჩვენთავანს აქვს გულში შემონახული.

ერთიც მინდა ვავისხნო — რატომღაც უფლება მოვცეცე შეუზღუდავად, უფასოდ დაგვერეკა სამშობლოში ახლობელ-ნათესავებთან. მათგანაც ხალხობებს ვისმენდით მოლოდინი ახსავს, ახვართებული თბილისის შესახებ.

მატჩზე კი რა ვითხნათ, ისედაც ვველამ ვველაფერი იცის, მისი თითოეული ემზოდი დაუვიწყარია ჩემთვის და ამის ვახსენება შორს ვავვიყვანს. მახსოვს თამაშის მერე ჩვენი ღამაში სასტუმროს მუპატრონე ქალბატონმა ზღაპრული შეხვედრა მოვცილო. თვლა არ ჰქონდა მის მიერ მოთხოვნილი ღვიინისა და შამპანურის ბოთლებს.

ახლაც თვალწინ მიდვას, მატჩის წინ პატარა ჯვრის წინ მლოცველი დარახელიას შთავთნებული ხანე, ჩვენ, თითქმის ვველას გვქონდა ჯვარი ან ხატი, ჩუმუნად ვლოცულობდით და დმერთს წარმატებას ვთხოვდით. თითოეული მატჩის წინ რაიმე ვანსაკუთრებული რიტუალი არ გვქონდა, მაგრამ ერთ ჩვეულებას მტკიცედ ვიცავდით. სტადიონზე როცა მივიდოდით, ბივრელი აუცილებლად ზაქარია თე



ვაჟა ვანიანი

ლია უნდა ჩახულიყო და ხშირად მოვებაც ვანადლებული გვქონდა. ბუნებრივია, ტრადიციის დარღვევას არც დიუსელდორფში ვაპირებდით, მაგრამ თელია ვაჯიუტდა — კაი ხალხი, რას მერჩით, რომ წაავით ხომ მოქლავთ მერეო. მაგრამ ჩვენც მაგრად დავვლქით და „რაინშტადიონზე“ მისვლისას ავსტობუსიდან პირველი სწორედ ბატონი ზაქარია ჩავიდა... მოვივით კიდეც.

სანამ თბილისში ჩამოვიდოდით, მოსკოვში ჩავფრინდით. მაშინ საბაჟის ვავლა ერთობ ჩანგრძლივი პროცესი იყო, ვველას თქემით ტურფამდე სინჯავდნენ, ჩვენთვის კი იშუაათი გამონაკლისი დაუშვეს და მწვანე შუქი ავგინითეს. თუმც ვაოცება მერე უნდა გენახათ. „მერე-მეტეველს“ აერთობორტში ათახობით ვულაშემატივარი დავვხვდა. ღამის ჯებირები დაანვრითეს. ხვეუნაკოცნაში ვაქირვევით მივადწივით ავტობუსამდე, ხალხი „ვუნუკოვოს“ აერთობორტამდეც გამოვყვავა. ძლივს ავედით თვითმფრინავში.

დავით მუსხიში

ძალიან ვნუხვარ, რომ დიუსელდორფში ვერ ვითამაშე. როტერდამში „ფეიენოორდთან შეხვედრის წინ თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე მინსკის „დინამოსთან“ გვქონდა ამხანაგური შეხვედრა. ვეთამაშეთ და ცხვირიც ვავიტეხე.

ასე, რომ 13 მაისს თბილისში ვიყავი და ვინეჭი, ცხვირი მქონდა თაბაშირში ჩასმული. ოპერაცია საყოველთაოდ ცნობილმა ნოპემ გამიკეთა.

ვუყურებდი თამაშს და მიუხედავად გამვებული გოლისა, მაინც მჯეროდა, რომ მოვიგებდით. ნამდვილად მჯეროდა, ისე ვიყავით შემართულნი, ერთმუნტად შეკრულნი, მაშინ ჩვენ ბოლომდე მაინც არ გვთვლიდნენ ანგარიშგასანვე გუნდად, მიუხედავად იმიისა, რომ ისეთებს ვუგებდით, როგორიც „ლივერპული“, „ვესტ ჰემი“, „ფეიონოორდი“ იყვნენ.

ერთიც მინდა ვავისხნო — რატომღაც უფლება მოვცეცე შეუზღუდავად, უფასოდ დაგვერეკა სამშობლოში ახლობელ-ნათესავებთან. მათგანაც ხალხობებს ვისმენდით მოლოდინი ახსავს, ახვართებული თბილისის შესახებ.

მატჩზე კი რა ვითხნათ, ისედაც ვველამ ვველაფერი იცის, მისი თითოეული ემზოდი დაუვიწყარია ჩემთვის და ამის ვახსენება შორს ვავვიყვანს. მახსოვს თამაშის მერე ჩვენი ღამაში სასტუმროს მუპატრონე ქალბატონმა ზღაპრული შეხვედრა მოვცილო. თვლა არ ჰქონდა მის მიერ მოთხოვნილი ღვიინისა და შამპანურის ბოთლებს.

ახლაც თვალწინ მიდვას, მატჩის წინ პატარა ჯვრის წინ მლოცველი დარახელიას შთავთნებული ხანე, ჩვენ, თითქმის ვველას გვქონდა ჯვარი ან ხატი, ჩუმუნად ვლოცულობდით და დმერთს წარმატებას ვთხოვდით. თითოეული მატჩის წინ რაიმე ვანსაკუთრებული რიტუალი არ გვქონდა, მაგრამ ერთ ჩვეულებას მტკიცედ ვიცავდით. სტადიონზე როცა მივიდოდით, ბივრელი აუცილებლად ზაქარია თე



დავით მუსხიში



აპგაპი სასწაულმოქმედი ფოტოსისა

კაცი უმოძრაოდ იდგა. ხისბგან გამოხორცილი გვეგონებოდათ. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანდა ეკრანზე. ადგილი, ისევე როგორც მოზა, საკმაოდ უჩვეულო იყო.

მერე კადრში მსხვილი ბლანით გამოჩნდა ანფასით. გაყინულ, ხაოცრად ნაცნობ კუშტ სახეზე თქვესმეტი წლის შეყვარებული ბიჭის თვალები ენთო. იმედიც, აღტაცებაც, შიშიც, ვედრებაც...

ხაოცარი კონტრასტი იყო: მამაკაცის სქელი, უხიცოცხლო ფიგურა და ხიცოცხლით სავსე თვალები.

გარშემო უცხო ტრიბუნები იყო, იქ, ხაითაც სახე იყო მიმართული უცხო მიხედონი. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი უკვლიდა...

ირაკლი ბერიანაშვილი

უნდა თუ არ უნდა, ადამიანი, ცოცხალ ადამიანზე ვლავარაკობ, იძულებულია რაღაც აკეთოს — ავად, კარგად, ანდა სულაც ბრწყინვალედ. ამ რაღაცის კეთებას ლამაზი სახელიც გამოუგონეს — ცხოვრების მიზანი.

ისე, გულანდილად ვიტყვი, მაინცდამაინც არ მომწონს ეს გამოთქმა, განსაკუთრებით მეორე სიტყვა. არ მომწონს იმიტომ, რომ ამ ფრაზას ამოფარებულნი იოლად ივიწყებენ ზომიერების საზღვრებს და არა მარტო კარგ საქმეებს აფუჭებენ, ერთობ ხშირად ადამიანების სიცოცხლესაც თან გადააყვლებენ ხოლმე.

მაინც მგონია, რომ ცხოვრების მიზანს ცხოვრების საქმე გაცოლებით სჯობს, უფრო ზუსტიც არის და ფანტიზმსაც გამოიცხადებს.

ნოდარ ახალკაცს რაიმე განსაკუთრებული მიზანი არ ჰქონია ცხოვრებაში, ცხადია, არც ფანტიციოსი იყო. თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის ნოდარ ახალკაცისთვის ფეხბურთი ცხოვრების საქმედ იქცა. იმად, რისთვისაც ადამიანები იღლებიან, წვალობენ, ოფის ღვრიან, ნერვიულობენ... ეს არის და ეს. რა თქმა უნდა, სხვა საქმე და საფიქრალიც ჰქონდა — ოჯახი, მეგობრების წრე, იქნებ ჰობიც — აკვიატებული გასართობი — თევზაობა, სულაც ასანთის კოლოფების შეგროვება. მაგრამ საქმე ერთი იყო — ფეხბურთი.

ნიჭიერი კაცი პრეტენზიულია. საკუთარ ნებაზე ვერ ატარებ. იმას თავისი გზა აქვს. სწორედ ამიტომაც არ მოსდიოდათ თვალში. თბილისის „დინამო“ მამინაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპის ქვეშ იყო, მაგრამ ამ უაზრო თუ იდიოტურ დამოკიდებულებას სულაც არ შეუშლია ხელი ნოდარ ახალკაცისთვის, დიდძალ ბაზი-

დან გაეგლო სწორედ ამ „საქმეთა“ მთავარი პერსონა — თვით მინისტრი. დაუჯერებელია, მაგრამ ასე იყო.

ნიჭიერი კაცი თითქოს კონფლიქტურიც არის, თუმცა, ყველანაირი კონფლიქტი მხოლოდ საქმესთან არის დაკავშირებული.

ჭკუადაძაღვარ, საღად მოაზროვნე კაცზე ფრანგები იტყვიან, კარგად გარეცხილი ტვინი აქვსო. სწორედ ეგეთი ტვინი ჰქონდა „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს. არა, გენიოსობას არ ვაბრალებ, უბრალოდ, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების წინ ბევრს ფიქრობდა. მთავარია, ჰქონდა ის, რითაც უნდა ეფიქრა. ასე მაღაწია, იმას, რაც მანამდე ვერაინ შეძლო და, ძალიან მეჭკვება, მომავალში მოახერხოს ვინმემ.

ძველებს ესსომებათ ორმოცდაათიანი წლების მოსკოვური მატჩების რეპორტაჟები. დიდი დრო კი გავიდა, მაგრამ ახლაც ყურში მიდგას რუსი კომენტატორის ვლადიმირ სინიავესკის დამტკბარი, ირონიანარევი ხმა: „Красиво играют Тбилисци!“... მცირე პაუზის შემდეგ კი... „Счет пять ноль в пользу москвичей!“. ეგრე იყო ჩვენი ლამაზი და ტექნიკური ფეხბურთის საქმე.

ნოდარ ახალკაცმა იმით დაიწყო, რომ ეს ყბადაღებული „Красиво играют“ ამოუვლო თავიდან ფეხბურთელებს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით ასეთი იქნებოდა მწვრთნელისა და ფეხბურთელების ერთ-ერთი პირველი შეხვედრა: „ფეხბურთი სპორტია, სპორტში კი მთავარი გამარჯვებაა, ცხადია, სპორტულივე წესების დაცვით. თუ გინდა, რომ გაიმარჯვო, გოლი უნდა გაიტანო და საკუთარში არ გაუშვა. ეს არის ფეხბურთის მთელი ფილოსოფია, თავიც და ბოლოც. ეს თამაში არც ბალეტია, არც ცირკი, რომ მოხდენილი ჰაითი ან ტრიუკით გაახალისო მაყურებელი. ლამაზი ისეთი თამაში და ის

მატჩია, რომელშიც იმარჯვებ“.

და „დინამომაც“ დაიწყო...

1976 წელი. საბჭოთა კავშირის თასი. 1977 წელი. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ და მსაჯებმა რის ვაი-ვაულახით დაიცვეს ჩემპიონის ტიტული თბილისელთა ხელყოფისგან.

1978 წელი. უპირატესობა მეტოქეებთან ისეთი იყო, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ყველამ იცოდა ჩემპიონის ვინაობა.

მერე წავიდა და წავიდა. საპრიზო ადგილები, ისევ თასი და ბოლოს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი...

მაინც რა გააკეთა ნოდარ ახალკაცმა ამ არნახული წარმატებების მისაღწევად, ეგეთი რა საიდუმლო იცოდა, ან რა ვარსკვლავზე იმეფებოდა?

განსაკუთრებული არაფერი, საღად, ყოველგვარი აკვიატებული იდეების გარეშე უყურებდა ამ თამაშს. ქართველები უბურთოდ სირბილს შეაჩვია და უცხო სტადიონების შიში მოუსპო. ეპ, წავაგებთო, იტყოდა ხოლმე ძველი გულშემატკივარი, როგორც კი ოდნავ წამოწვიდა. ახალკაცის გუნდი წვიმაშიც ისევე იმარჯვებდა, როგორც მშრალზე, იმიტომ რომ ძალა და გამძლეობა მეტი ჰქონდა, ცხადია, მეტი ვარჯიშის ხარჯზე. შეატყო, რომ ჩივაძეს, ცოტა არ იყოს, უჭირდა ნახევარდაცვაში თამაში და კარგი ნახევარდამცველი შესანიშნავ ცენტრალურ მცველად აქცია. სჭირდება ყველაფერ ამას გენიოსიონობა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, ფრანგებისა არ იყოს... სადი და სადა აზროვნების ერთი თვალსაჩინო მაგალითი კი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მეთხველისთვის გახედეს ცნობილი. მით უფრო, რომ ამ წერილის ავტორსაც მიეცემა მცირე წატრამბების საშუალება.

საქმე ასე იყო:

სულ ორი თუ სამი მატჩის ანგარიში მქონდა დაწერილი „ლელოში“; ბოლო თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის ცსკა-ს თამაშს ეხებოდა. მატჩი ფურედ 2:2 დასრულდა. პირველი ტაიმის შემდეგ „დინამო“ 0:2-ს აგებდა. ჰოდა, ამ მატჩის შემდეგ რედაქტორმა, ნოდარ ახალკაცთან ინტერვიუ მინდაო. დიდიმის ბაზაზე მივედი. მაშინ პირველად ვნახე ახლოდან „დინამოს“ მწვრთნელი. ალაღად ვიტყვი, ნაღდად მეფუნთუშის გარეგნობა ჰქონდა. მაგრამ, დაილაპარაკა თუ არა, პირველი შთაბეჭდილება მაშინვე გაქრა. დალაგებული საუბარი იცოდა, აზრიანი.

ასე კარგად ფეხბურთი საიდან იცოდა. ცსკა-სთან მატჩის საგაზეთო ანგარიშს გულისხმობდა. არაფერიც არ ვიცოდი. დაწვერე ის, რაც ვნახე. პირველ ტაიმში ჩვენები სამი ნახევარმცველითა და სამი თავდამსხმელით თამაშობდნენ. ორი გოლი ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგიდან გაგვიტანეს. მეორე ტაიმში „დინამო“ თავდამსხმელი ნახევარმცველით შეცვალა და ხვრელიც ამოივსო. ორი ბურთი კი მოსკოველთა კარში გავიდა. და, საერთოდ, გაცილებით იოლია მიუღწეაზე ლაპარაკი, ვიდრე მასში უშუალოდ მონაწილეობა. ის, რაც ახლა უნდა ვთქვა, მერეა გავიგე.

ნოდარ ახალკაცისთვის ის მატჩი პირველი არ იყო, მაგრამ გუნდი დიდი ხნის ჩაბარებულიც არ ჰყავდა. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებაოდა სამწვრთნელო საქმეებში სხვისი, თუნდაც გუნდის უფროსის ჩარევა. ეს პოსტი კი „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორგარდს სლავა მეტრეველს ეჭირა. ჯერ ახლა რა არის, და მაშინ საქმის სრულ ბატონ-პატრონობას ვინ დაგანებებდა. მეტრეველს, შესაძლოა, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდაც, მეურვისა და მრჩეველის ფუნქციაც ჰქონდა შეთავსებული.

შემტევი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთო და სამი თავდამსხმელი სლავას რჩევითა თუ წინადადებით დაუყენებიათ. ნება რომ მიეცათ, პირველ ტაიმში ორი ბურთის გაშვების შემდეგ მეტრეველიც და შესაძლოა, სხვა მწვრთნელიც მეოთხე თავდამსხმელს დაამატებდა. საბედნიეროდ, სლავას პრეტენზიები მინდორზე კარგად თამაშს არ სცილდებოდა და მეორე ტაიმში გუნდი ახალკაცის სქემით გამოვიდა. წაგებული ტაიმის შემდეგ თავდამსხმელი ნახევარმცველით შეცვალა...

კარგა ხნის წინათ ერთმა ნაცნობმა ილუზიონისტმა საერთაშორისო ფესტივალზე პრემირებული ფოკუსი მიჩვენა. ჩვეულებრივი მონეტა ხელზე დაიდო და უბრძანა ადგილიდან დაძრულიყო. მონეტამ მოძრაობა დაიწყო. ჯერ მკლავს აუყვია, მერე უკან მობრუნდა, მეორე ხელზე გადავიდა და ახლა იქ განაგრძო ხეტიალი. საოცარი სანახაურო იყო. ვთხოვე, აეხსნა საიდუმლო. უარი არ უთქვამს, მაგრამ ჩემი ეს გათვითცნობიერება ძვირი დამიჯდა — „საიდუმლო“ იმდენად მარტივი იყო, რომ ამ ფოკუსმა ჩემს თვალში საშუალოდ დაკარგა

მომხიბვლელობა. ასე რომ, ვიცი როგორ კეთდება ეს ფოკუსი, მაგრამ წინდახელულად მოვიქციე და თქვენზე ინტერესებიდან გამომდინარე ვერაფერს გაგიმხვლო.

ეს, რაც შეეხება ილუზიებს ისე კი, ცნობილია, რომ სულ უბრალო საქმესაც შესაძლოა პატარა, მაგრამ თავისი საიდუმლოც აქვს.

ფეხბურთი გამონაკლისი არ არის. ნები-სმიერ წარმატებულ მწვრთნელს არსენა-

ლში უთუოდ მოემხნება რაღაც განსაკუთრებული იარაღი. ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი რაღაც-რაღაცების გარდა ნოდარ ახალკაცსაც ეცოდინებოდა ერთი ან ორი საფეხბურთო ხრიკი. მკითხველისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, რაიმეს თქმისაგან ამჯერადაც თავს შევიკავებ, თუმცა სულ სხვა მიზეზის გამო — უბრალოდ, არ ვიცი, როგორ კეთდება ეს ფოკუსი.

...უმოდროდ იდგა, ხისგან გამოხორცილივით. ვაფთირებულ სახეზე სიცოცხლის ნიშანს მხოლოდ თვალები ამჟღავნებდა. იქ კი რაღაც ძალზე უჩვეულო და განსაკუთრებულის უსაზღვრო მოდო-დინი აღბეჭდილიყო. ვარს უცხო ტრისბუნები ერტყა, წინ, საითაც თვალები ჰქონდა მიჰყრბილი, უცხო მინდორი იყო. მატჩის დასრულებას რამდენიმე წუთიღა უკვდა. მასის ცამეტი იდგა...



პირველი ტაიმში



1981 წლის „კარლ ცაისი“

მალაქი, ღონიერი, სოსილისტი გერმანელები

სოლომონ გულისაშვილი

იქნა ტიურინგიის მხარეშია. მისი „კარლ ცაისი“ კი სამხრეთ რეგიონალური თერაპეუტულიან შეჯიბრებაში ბოლო ადგილზე დალექილა და პერსპექტივაც დიდი არ უჩანს...

ამ 20 წელიწადში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. თავი დავანებოთ იმას, რომ სოციალისტური სისტემა დაინგრა, გერმანია გაერთიანდა და ცხოვრების წესი შეიცვალა. როცა 13 მაისის ღამეს ვიხსენებთ, დრო

ადგილზე დგას, დარასელია ისევ 24 წლისაა, ხოლო ბილაუ 22-ის...

არადა, ამას წინათ, ერთ გერმანულ არხზე ლეგენდარული მეკარე, ჰანს ულრის გრაპენტინი უჩვენეს. 58 წლის კაცს სიბერე შეჰპარავია. მაშინ კი გდრ-ის საუკეთესო კარის დარაჯი იყო და ჩვენებსაც რამდენიმე ფანტასტიკური ბურთი აუღო. მისი ხნისა მოყრილა ებერჰარდ ფოგელიც, რომელსაც აღმოსავლეთ გერმანიის ლიგაში ყველაზე მეტი — 440 მატჩი უთამაშია.

აი, ჰანს მაიერი კი, „ცაისის“ მაშინდელი

მწვრთნელი, უბერებელი ჩანს. ახლა მას მიონხენგლადბახის „ბორუსია“ მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადაჰყავს და თითქმის ისეთივეა, როგორიც დიუსელდორფის კადრებიდან გვასისოვს. სხვათა შორის, სულ ერთი წლითაა გრაპენტინსა და ფოგელზე უფროსი, ნოემბერში 59-ის ვახდება.

მაინც როგორი იყო 81-ის „კარლ ცაისი“? ზუსტად ისეთი, როგორიც სხვა აღმოსავლეთგერმანული გუნდები: ათლეტური, მოძრავი და მეტრძოლი. საერთოდ, გდრ-ში არა ერთი საინტერესო ფეხბურთელი გაზრდილა. ორი იურგენი — შპარგასერი და პომერენკე, რომლებმაც 1974-ში „მაგდებურგს“ თასების თასი მოაგებიანეს, მრისხანე მეგობლე ითახიმ შტრაიხი, ვისაც ეროვნულ გუნდში 102 მატჩი გაუმართია, ბოლოს დრეზდენელები: მათიას ზამერი და ულფ კირსტენი...

იმ წელიწადს „კარლ ცაისის“ ღამის ძიელი შემადგენლობა გდრ-ის ნაკრების წევრი ან კანდიდატი იყო: 188 სანტიმეტრისანი გრაპენტინი, მარჯვენა მცველი გერტ ბრაუერი, კაპიტანი კონრად ვაიზე (რომელიც ფინალში ვოლფგანგ შილინგმა შეცვალა), ლიბერო რუდიგერ შნუპკაზე, შუახაზელები ლუც ლინდემანი, რომელიც ჩინებულად ასრულებდა სტანდარტულ სიტუაციებს, ლოთარ კურბიუვაკიტი და ანდრეას კრაუზე. შეტევაში კი სწრაფი იურგენ რაბაი და ტექნიკური ანდრეას ბილაუ.

ბილაუ „კარლ ცაისში“ სეზონის წინ გადავიდა „ზაქსენრინგიდან“ და მალევე ვოლის ვოლზე გატანა დაიწყო. მეოქვს-მეტედიფინალის საპასუხო მატჩში იენელები „რომასთან“ სამხურთიან ჩამორჩენას უნდა გამკლავებოდნენ. მასპინძლები 2:0 იგებდნენ. სულ ოცი წუთი რჩებოდა, როცა ბილაუ მინდორზე გაიყვანეს და თითქმის მაშინვე

„რომასთან“ გაბარკჯავის კამეზი





პარტიკალიტი „ბენფიკა“ შატავას იბერიკას

ანგარიში გაასამა. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი, რომელები დამატებითისთვის რომ ემზადებოდნენ, ახალბედამ საჯარიმოში ყველას დაასწრო და მეოთხეც შეაგლო. ეს იყო „ცაისის“ ბრჭყალის პირველი გამოჩენა...

როგორი გუნდები ჩამოიცილეს იმ წელს გზიდან? „რომა“, „ვალენსია“ და „ბენფიკა“ ხომ ევროპულ ელიტას წარმოადგენდნენ. მაგრამ საინტერესო იცით რა არის? ყველაზე მეტად იენელებს მეოთხედფინალში, უელსურ „ნიუპორტ ქაუნთისთან“ გაუჭირდათ, რომელიც ინგლისის მესამე დივიზიონში დასარჩენად იბრძოდა. შინ ხომ 2:2-ს დასჯერდნენ (მასპინძელთაგან ორივე რაბბა გაიტანა) და ნიუპორტშიც სულ ჭირის ოვლში გაილუმპნენ. დენის ლოუპ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ვარსკვლავმა — რომელსაც ამ მატჩის რადიორეპორტაჟი მიჰყავდა, თქვა: გერმანელებს გრაპენტინის ზღაპრულმა თამაშმა და ილაბმა უშველა, თორემ ვნახავდი შემდეგ წრეში ვინც გავიდილო. ერთადერთი გოლი 27-ე წუთზე ჯარიმიდან კურბიუვაიტმა გაიტანა და მასპინძლებს სტურმიც ამით ჩააქრო, არადა უელსელებს სამი ისეთი ვერ შეეგდით...

მაგრამ „ნიუპორტამდე“ იენელებმა „რომას“ ამ თასის მფლობელი, ესპანური „ვალენსია“ მიაყოლეს. ეს უკვე სენსაცია იყო. ზინგვეალდის, შნუპპაზესა და ტროხას გოლებით გერმანელები ნახევარ საათში უკვე 3:0-ს იგებდნენ და ვალენსიელებმა ბოლოსკენა მოახერხეს ერთი საპასუხოს გატანა — ძორენომ შეაგლო და თავისიანები ფრიალდაც გაახარა. ახლა ხომ შინ 2:0 ჰყოფინდათ, მაგრამ... მერე ესპანელმა მიმოძილველებმა თქვეს, „ვალენსიას“ წარუმატებლობა იმის ბრალია, აღფრედო დი სტეფანო მწვრთნელიდან რომ განთავისუფლესო. შესაძლოა, სადღაც მართლებიც იყვნენ, დი სტეფანოს ხელში ვალენსიელებმა თასი მოიგეს, ამჯერად კი, ვერც კემპესმა, ვერც კასტელიანომ და ვერც საურამ ესპანელებს ვერაფერი უშველეს, გერმანელებმა ოსტატურად დაიცვეს თავი, გრაპენტინი კი ისევ სასწაულებს სჩადიოდა. პოტუბოტის ეულმა გოლმა კი საქმეს ვერ უშველა.

და აი, დაღვა ნახევარფინალების დროც.

იენელებს კვლავ ურთულესი წინააღმდეგობა უნდა დაეძლიათ. პორტუგალიური „ბენფიკას“ ფეხბურთელებს: უმბერტუ კოელიუსს, შალანას, ნენეს და დიამანტინოს ევროპაში კარგად იცნობდნენ.

პირველი მატჩის წინ რამდენიმე პორტუგალიურმა გაზეთმა დაწერა, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, გერმანელები თამაშზე უარს ამბობენ და „ბენფიკა“ ფინალშიაო. ტელერეპორტიორები „ბენფიკას“ ბაზას მიაწყდნენ, ფეხბურთელებს გამოკითხეს, ისინი კი სიხარულს ვერ ფარავდნენ. ერთადერთი ვინც ამ ამბავს არ იჯერებდა, მწვრთნელი და სილვა გახლდათ. მართალიც იყო, მალე გაირკვა, რომ გაზეთების სენსაციური ცნობა საპირველადილო ხუმრობა ყოფილა...

და სილვა კი შეფიქრიაზეულიყო, „კარლ ცაისის“ ძალა კარგად უწყობდა... უკვე მერ 8 წუთზე ბილაუმ ეფექტური თავურით ცხრიანში გაიტანა. მალევე რაბბამაც თავურით გააორა. მიმოძილველები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ რაბბისა და გრაპენტინის კარგ თამაშს. მატჩის შემდეგ ჰანს მაიერი სიხარულს ვერ ფარავდა, თუმცა ამბობდა, ლისაბონში მკაცრი სათამაშო დისციპლინის დამყარება უნდა მოვახერხოთ, სხვაგვარად „ბენფიკას“ გაუთავებელ შეტევებს ვერ აუვუკლით.

პორტუგალიაში ჩასულელებს კი მეტოქეთა მწვრთნელად ახალი კაცი, უნგრელი ლაიომ ბაროტი დახვდათ. ბაროტი ეჭვობდა, „კარლ ცაისის“ დარ გუნდთან ორი ბურთის გაქვითვა ძალიან მწელი იქნებაო. მართლაც, „ბენფიკა“ ეცადა, გადაჭვილი სტადიონის გამაყრუებელი მხარდაჭერით ვაგულისებული ბევრს უტევდა: შალანას, ნენესა და მანუელს უნდა გაეტანათ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გაიხარეს — 59-ე წუთზე რენიანდოს თავური ზუსტი გამოდგა. მანამდე, დასაწყისშივე, „კარლ ცაისის“ სწრაფი კონტრშეტევა გამოუვიდა და შნუპპაზემ შეაგლო კიდევ, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევის საბაბით არ ჩათვალა.

აი, ასე გავიდა „კარლ ცაისი“ ფინალში. 13 მაისს თავისი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში ის თბილისის „დინამოს“ უნდა შეხვედროდა. ამავე დღეს იენურ კლუბს დაარსებიდან 79 წელი უსრულდებოდა...

კარლ ცაისი (იენა, გერ)



დაარსდა 1903 წლის 13 მაისს სახელით „Fußball-club der Firma Carl Zeiss“
1949-65 წლებში „მოტორი“
ერქვა
გდრ-ის ჩემპიონი (3): 1963, 68, 70

ვერცხლის პრიზიორი (9): 1958, 65, 66, 69, 71, 73, 74, 75, 81

ბრინჯაოს პრიზიორი (5): 1977, 79, 80, 82, 86

გდრ-ის თასის მფლობელი (4): 1960, 72, 74, 80

ამჟამად თამაშობს გერმანიის სამხრეთ რეგიონალურ ლიგაში

ვეროთასებზე 1961-88 წლებში მონაწილეობდა 18-ჯერ: 2-ჯერ ჩემპიონთა, 5-ჯერ თასების მფლობელთა და 11-ჯერ უფუფას თასზე. ყველაზე დიდი მიღწევა 1981 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში გასვლაა

81-ის გუნდიდან გდრ-ის საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ: ებერჰარდ ფოგელი (1979), ჰანს ულრის გრაპენტინი (1980,81) და რუდიგერ შნუპპაზე (1982). ამავე წელს შნუპპაზე 19 გოლით ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

81 წლის გუნდიდან გდრ-ის ნაკრებში უთამაშოთ: კონრად ვაიზეს — 86 მატჩი, ებერჰარდ ფოგელს — 74, ჰანს ულრის გრაპენტინის — 21, იურგენს რაბბს — 20, ლუც ლინდემანს — 20, ანდრეას ბილაუს — 9, მარტინ ტროხას — 8, ანდრეას კრაუზეს — 4, გერტ ბრაუერს — 3;

ვაიზეს და ტროხას „დინამოსთან“ ტრავმების გამო არ უთამაშოთ.

მწვრთნელი ჰანს მაიერი



დაიბადა 1942 წლის 3 ნოემბერს ბრინზში

წვრთნიდა: „კარლ ცაისის“, ერფურტის „როტ ვაისს“, „კარლ-მარქს-შტადტს“, „ქემნიცს“, ისევ „კარლ ცაისის“, ბერლინის „უნიონს“, ენსხედეს „ტვენტეს“. 1999 წლიდან მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ მთავარი მწვრთნელია

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: თომასი, სუსანა და კრისტიანი

გზა ფინალამდე

1/16 — „რომა“ (იტალია) 0:3 (სტუმრად), 4:0 (შინ)

1/8 — „ვალენსია“ (ესპანეთი) 3:1 (შ), 0:1 (ს)

1/4 — „ნიუპორტი“ (უელსი) 2:2 (შ), 4:0 (ს)

1/2 — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 2:0 (შ), 0:1 (ს)

REUTERS გამარჯვებული



2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი საქართველოს ნახრები

სასაღსო გუნდი მათ იცინან... ჩვენც ვიცით...

მერაბ რატიშვილი

1981 წლის 13 მაისი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვეს...
იქიდან მოყოლებული ქართულმა სპორტმა ბევრი რამ ნახა: აღზევება და აყვავება, მოვიანებთ — დაკნინება და გაპარტახება. იყო უამრავი ჯილდო-ტიტული, ძირითადად სპორტის ინდივიდუალური სახეობების წარმომადგენლების მიერ მოპოვებული. ნელ-ნელა იმედგაცრუება და სირცხვილი შემოგვკვავა, მერე კი ეს ლამის

ყოველდღიურ ამბად გვექცა.
ქართველ კაცს კი საოცნებოდ რჩებოდა გუნდურ სათამაშო სახეობაში მოპოვებული ტიტული. ოცნება უიმედობამ შეცვალა, ეს კიდევ — ხელჩაწეულობამ. ქართველები გუნდურად ვერაფერს მოიგებენ, რადგან გუნდური გამარჯვების გემოს გადაეჩვივნენ და არც ის იციან, როგორ მიიღწევა — ეს აზრი საზოგადოებაში მყარად იყო ფეხგადგმული და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ.
მოულოდნელად „დინამოს“ ევროტრიუმის ოცი წლის თავზე, თითქოსდა უპერსპექტივო ვითარებაში მეხვიით გაგარდა:

2001 წლის 7 აპრილი. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა თასი მოიგო. ქართული გუნდი ოფიციალურ საერთაშორისო ტიტულს შეწვდა.
ქართველ მორაგბეთათვის შიში, უნაითობა და უსუსურობა უცხოა, სამაგიეროდ, ვაჟკაცობა, უკანდაუხელოობა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა ჩვეულ თვისებად ქვეულა. დამარცხებულნიც გვინახავს, მაგრამ არასდროს შეგვრცხვენია, ასეთი გუნდი რომ გვეყავს. მიუხედავად ამისა, წლის დასაწყისში ვერავენ იტყოდა, საქართველო 2001 წლის ევროპის ერთა თასს მოიგებსო.

გრემუარ იაკვილს (მარცხნივ) და აკსანტი გიორგაძეს რუბინელთა გეოგრაფია არ უპირდათ

REUTERS გამარჯვებული



მოდით გავისხენოთ, რა ჩანდა თებერვლის დასაწყისში: მხოლოდ ტურნირის კალენდარი, სადაც ეწერა, რომ საქართველო სტუმრად ეთამაშება ჰოლანდიას, რუსეთს და რუმინეთს; მასპინძლობს პორტუგალიას და ესპანეთს. კიდევ იყო ხმები იმის შესახებ, რომ ნაკრებმა მოუმატა და მისი წევრები უფრო გამოცდილ-დაღვინებულნი გახდნენ. მხოლოდ ხმები, რადგან ეროვნული გუნდი საქმეში მარშანდელი აპრილის შემდეგ არავის ენახა.

პროგრამაც გამოიკვეთა: ჰოლანდიის, პორტუგალიის და ესპანეთის ძლევა, რუსეთთან არშერცხვენა, რუმინეთთან ღირსეული მარცხი და 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე შეძლებისდაგვარად მომგებიანი პოზიციის დაკავება.
ახლა ენახოთ, რა ჩანს დღეს: გაბითურებული ჰოლანდია, პორტუგალია და ესპანეთი, კრასნოდარში ოთხზე დაყენებული რუსეთი და ბუქარესტში ძლეული რუმინეთი. ხუთიდან ხუთი მოგება, მსოფლიოს თასის

შესარჩევ ეტაპზე ჯერჯერობით საუკეთესო პოზიცია და ვაკეში, საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში დაბინავებული ევროპის ერთა თასი.

თასის ბედი 7 აპრილს ბუქარესტში გაირკვა, სადაც მანამდე დაუმარცხებელი, რუმინეთი და საქართველო შეიბნენ. იქ გამოჩნდა ქართველ მორაგბეთა და მათი მწვრთნელის შრომა. საქართველოს ნაკრები სულ სხვა, ჩამოყალიბებულ გუნდად წარსდგა, რომელიც მაღალი დონის რაგბის თამაშობდა. მოქნილი ტაქტიკა, გააზრებული კომბინაციები, მეტოქისთვის საკუთარი ნება-სურვილის თავს მოხვევის უნარი, კრიტიკულ სიტუაციაში გამოსავლის სწრაფად პოვნა და იმის გათავისება, რომ აუცილებლად უნდა მოიგო — აი, ამ გუნდმა 31:20 დაამარცხა რუმინეთი და ევროპის ერთა თასს დაეპატრონა.

და ლეონსიო, ანუ ლევან ცაბაძე, ანუ თავგანწირვა და გაუტეხლობა. ფრანგულ „კასტრში“ რუმინელი თანაგუნდელისგან მუხთლად ჩაწინხლულმა ქართველმა მორჩიანალმა, არ გადავაჭარბებთ და, გმირობა ჩაიდინა, თანაც, არა მარტო სპორტული. საუკეთესო შემთხვევაში მკურნალობისთვის გაწვირულმა ლეონსიომ თამაშის მიტოვება იუკადრისა და მეუღლას მიუბრუნდა. ამ საქციელით მან ხეობრობას ჩახედა თვალებში, მაგრამ ეს არად ჩააგდო და მატჩის გადაწყვეტი ლელოც გაიტანა. რატომ? იმიტომ, რომ ცნობილი მწერლის, აკა მორჩილასისა არ იყო, ალბათ ასეთი იყო ძველი ქართველი, რომლის გმირობასაც ლეგენდასავით მოუღწევია ჩვენამდე. განა რომელიმე ტიტული, სამთავრობო ჯილდო ან პრემია გადასწონის ამ საქციელს? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერა, თუმცა ლეონსიომ უკვე მოიპოვა ყველაზე მნიშვნელოვანი აღიარება — იგი სახალხო მოთამაშეა, იგი ხალხისთვის მოთამაშეა, ისევე, როგორც საქართველოს ნაკრები თავისი გაჭირვებული სამშობლოს სახალხო გუნდი.

„მე ვიცი რა, მე ვიცი როგორ“ და „რეალური კაცი რეალური პროგრამით“ — ქართული საპარლამენტო არჩევნების წია-



პატიორო აიხვებულებს (მარცხნივ) და თედო ზიზიზიბაძეს თავი არ დაუზოგავთ

ღში შობილ ამ ლოზუნგებს თუ გავაერთიანებთ და რაგბიზე განვავრცობთ, მივიღებთ საქართველოს ნაკრების ფრანგ მწვრთნელ კლოდ სორელს. ამ კაცმა მართლაც რომ რეალურად იცის როდის რა უნდა, ხელთ არსებული ძალებით რისი მიღწევა შეუძლია და რომელ ეტაპზე რა მიზანს შეუტეოს. ბევრისგან განსხვავებით, სორელი ძირითადად დუმს და შრომობს. ბევრისგან განსხვავებით, სორელის შევირდები კი არ ბაქიბუქობენ და ზღაპრებს არ ყვებიან, არამედ მუხლ-თაჩაზრილები მუშაობენ. კეთილსინდისიერად აკეთებენ იმას, რაც იციან და ივებენ. გამარჯვებასაც ღირსეულად იფერებენ, თვისტომთა მიერ დამცირებასაც უხმოდ იტანენ, აქეთ მადლობას ამბობენ და თავიანთ საქმიანობას უბრუნდებიან.

წინ მომდევნო ევროპის ერთა თასი და მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის გადამწყვეტი ფაზაა.

სორელი კვლავ დუმს, ესე იგი, შრომობს. მან იცის...


ჩვენც ვიცით: საქართველოს შესანიშნავი და საამაყო მორაგბეთა ნაკრები ჰყავს!

საქართველოს ნაკრები	
2001 წლის ევროპის ერთა თასზე	
4 თებერვალი, 2001. ამსტერდამი	ჰოლანდია — საქართველო 3:42
17 თებერვალი, 2001. თბილისი	საქართველო — პორტუგალია 36:12
4 მარტი, 2001. კრასნოდარი	რუსეთი — საქართველო 23:25
17 მარტი, 2001. რუსთავი	საქართველო — ისპანეთი 43:10
7 აპრილი, 2001. ბუქარესტი	რუმინეთი — საქართველო 20:31
საერთო მდგომარეობა	
საქართველო	5 5 0 0 167:68 10
რუმინეთი	5 4 0 1 189:71 8
რუსეთი	5 3 0 2 152:143 6
ესპანეთი	5 2 0 3 118:128 4
პორტუგალია	5 1 0 4 77:165 2
ჰოლანდია	5 0 0 5 57:184 0

გაბარი კონტინენტი ქართველების ფერსი



ელდარ კურტანიძემ ევროპულ ოქროს გემო 1996 წელს ბუდაპეშტში გაუსინჯა. ეგ იყო და, 97 კილოიან თავისუფალი სტილით მოჭიდავეებში ფალავანთ-ფალავანის სახელი დაიგდო. პირველ ოქროს მეორე და მესამე მოპყევა და კვლავ უნგრეთი, ბუდაპეშტი — თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი — ელდარ კურტანიძეს ბებერ კონტინენტზე არც ამჯერად ჰყავდა მჯობნი — მეოთხე ოქრო და ისევ უძლეველის სახელი.

ზედიზედ მეორედ დაიმშვენა მკერდი ევროპული ოქროთი ძალოსანმა გიორგი ასანიძემ. სლოვაკეთის ტრენჩინაში მიმდინარე კონტინენტის პირველობაზე 85 კგ წონით კატეგორიაში ქართველმა ათლეტმა 380 კგ დაიმორჩილა და სხვათაგან მიუწვდომელი შეიქნა.



REUTERS

ისვის საქართველოს ნაკრებმა რას აკეთებს?

	<p>ამხანაგური მატჩი. 24 აპრილი თბილისი, ეროვნული სტადიონი 10 000 მაყურებელი</p>	
საქართველო 3:2 ისრაელი		
<p>1:0 ქეცბაია (9), 1:1 მიზრახი (16), 2:1 ქეცბაია (36), 2:2 მიზრახი (73), 3:2 ა. არველაძე (88) საქართველო: ლომია, აბრამიძე, სილაგაძე, ხიზანიშვილი (ჭანოტაძე 64), ქემოკლიძე, რეზიაშვილი, ქეცბაია, გახოკიძე (ასათიანი 68), ა. არველაძე (მელქაძე 89), ქინქლაძე (ალექსიძე 46), შ. არველაძე ისრაელი: ელიმელინი, ხარახი (შელახი 80), ბრუბერი (ბენადო 46), გერშონი, კეისი, ზეიტუნი, კატანი (ბენ დაიანი 46), ბადირი, ბენაიონი, რევიგო, მიზრახი (ბენ ამი 80) გაფრთხილება: ბადირი (28), ბენ ამი (86), სილაგაძე (90), რევიგო (90) მსაჯები: ს. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, კ. გაბრიაძე; ა. შილაკაძე (ყველა საქართველო) დელეგატი: ა. მილჩენკო (საქართველო)</p>		

კოზა ინასარიძე

მაცნე, როცა ისრაელში გლოვის დღე იყო, ებრაელთა რჩეული ფეხბურთელები თბილისის „ეროვნულზე“ ქართველებს ამხანაგურად ებურთავებოდნენ და მგლოვიარე თანამემამულეებს საღამო ხანსდა შეუერთდნენ — მატჩის დამთავრებისთანავე ჩარტერული რეისით შინ გასწიეს და ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან არაბებთან ომებისას დაღუპული ჯარისკაცების შესანდობარი თქვეს.

ისრაელში ყოველი წლის 24-25 აპრილი გლოვის დღეებად არის გამოცხადებული და საკვირველიც იყო, ისრაელები სწორედ 24 აპრილს რომ დათანხმდნენ ქართველებთან ამხანაგურ მატჩს. თუმცა კი მაშინვე ითხოვეს შუადღით ვითამაშოთ, სა-

ღამოს რომ შინ ჩაფრენა მოვასწროთ. ქართველებმა მეტოქის თხოვნა, რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს და მატჩიც 15 საათზე დაიწყო, მაშინ, როცა აპრილის მზე ზენიტში იყო.

ამის ბრალი გახლდათ თუ სხვა რამის, მოსაწყენი თამაში გამოვიდა, ყოვლად უაზარტო. ეს განსაკურთებით სტუმრებზე ითქმის, რომლებიც თბილისის ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელის გარეშე ჩამოვიდნენ და ლიხტენშტაინთან ოფიციალური მატჩის წინა უდიდძამო რეპეტიცია მოიწყვეს. აკი აღნიშნა კიდევ პრესკონფერენციაზე სტუმართა ერთობ ტიტულოვანმა, 1992 წლის ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა — ჩემდა გასაკვირად ფეხბურთელები მოღუნებულნი იყვნენ და ასეთი თამაშით ლიხ-

ტენშტაინთან წარმატებაზე ფიქრც ზედმეტიყო.

არადა, ძალიან კი ეწადათ სტუმრებს მოგება. დიდი ხანია ისრაელის ნაკრებს სტუმრად ფრეც არ უთამაშია, ერთთავად აკებს და მიოლერ-ნილსენიც ამით შემფორთხებული ყოვილა. ალბათ, ამიტომაც იყო, მიზრახის თავურით მატჩის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე მფორედ რომ გაათანაბრეს ანგარიში, მწვრთნელი ისე ანერვიულდა, ლამის მეორემეტყ ფეხბურთელად დაემტა თავის შვეირდებს — სათადარიგოთა სკამს მოშორდა, სარბენ ბილიკზე აქით-იქით დარბოდა, ფეხბურთელებს რაღაცეებს ანიშნებდა და ორი შეცვლაც ერთბაშად გააკეთა. მიოლერ-ნილსენის შემხედვარე, ანერვიულდა უშიშროების სამსახურის ორი სტუმარი მუშაკიც, მიელი მატჩის განმავლობაში ისრაელის ნაკრების სათადარიგოთა სკამს რომ არ მოშორებულა. სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც ვიტყვი: თბილისში ჩამოსულმა ებრაელმა კოლეგამ ცოტა შემინებულმაც კი, რომ მკითხა — თბილისში არაბები მრავლად არიან, მატჩს დაესწრებიან?

ახლა საქართველოს ნაკრებზე და თავიდანვე ვთქვათ, გულდათოუტყული ქომავისთვის დიდი ვერაფერი შვება იყო ქართველთან ისრაელი იმ ნაკრების დამარცხება, რომელმაც 24 აპრილს ითამაშა. რუმიწველებთან წაგება ძალის ნაკებნივით დამამსოვრებელია და ერთი მოგებით გულშემატკივრებს 28 მატჩის საღამო არა მგონია დაავიწყდეს. თუმც კი ნაკრების მწვრთნელები რევაზ ძიბუაშვილი და დავით ყიფიანი, ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნებიც დღედაღამ იმას ამბობენ, რაც იყო, იყო, რუმიწვეთთან წაგება წარსულს მივაბართო, იტალიაზე ვიფიქროთო. კი ვფიქრობთ იტალიელებთან 2 ივნისის მატჩზეც, მაგრამ რისი იმედი უნდა გვქონდეს, მით უმეტეს ისრაელთან თამაშის შემხედვარეთ ამას ვერ ვეტყვი.

ერთ სუბიექტურ აზრსაც მოგახსენებთ: 24 აპრილის ამხანაგურ მატჩისგან ნაკრების მწვრთნელები გუნდის უკეთ შეთამაშებისა და ოფიციალური თამაშებისას ძირითად შემადგენლობაში ვერმოხვედრილ ფეხბურთელთა გამოცდის ნაცვლად, ალბათ, სხვას ელოდნენ — უთუო გამარჯვებას, რაც ფეხბურთელებს, თავად მწვრთნელებსა და ქომავთაც ფსიქოლოგიურად გამოაკეთებდა. ჩვენებურებმა მოიგეს, მაგრამ, ზემოთაც ვთქვით, ქომავთა თვალში რეაბილიტაცია ვერ მოახდინეს. ძიბუაშვილი, ყიფიანი და ერთი-ორი ფეხბურთელი კი ამბობენ, ისრაელის დამარცხება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათო. დემერთმა ქნას, ასე იყოს და ეს იტალიასთან მატჩმა დაგვანახოს, თუმც მწარედ საეჭვო კი არის.

საქართველოს ნაკრები. ღებან: ვალერი აბრამიძე, გიორგი ლომაია, გოგა ბახოიძე, შოთა არკვალია, რევაზ ქომოლიძე. სხადან: ლევან სილაგაძე, ზარაბ ხიზანიშვილი, გიორგი ქინქლაძე, თამარ ქაცბაია, ალექსანდრა რეხვიავილი, არჩილ არკვალია





თეიმურ ჯაბაია (შუაში) ისრაელის ჯარში ორი გოლი გაიტანა

საქართველოს ნაკრები ისრაელთან ფრისგან ისევ და ისევ ერთი ფეხბურთელის ინდივიდუალურმა ოსტატობამ იხსნა და არა გუნდურმა თამაშმა, რასაც უკვე შეჩვეულნი ვართ. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შოთა არველაძემ მარჯვენა ფლანგზე გერმონი დაიფრინა, საჯარიმოში შეიჭრა და ტყუპისცალს გაატანინა, რომელმაც თავით დაასწრო მეტოქე მცველებს. იქამდეღი ორი გოლი კი მთლიანად ქეცბაიასი იყო. ჯერ ქუსლით თავისივე დაწყებული საქმე ქინქლაძემ გაუგრძელა და ნაკრებში ყველაზე უფროსმა და დღემდე საუკეთესო თემურმა ულაძემ გოლით დააწინაურა გუნდი, მერე კი მარცხენა ფეხით, მეტოქის ჩვეულებრივ სათადარიგო,

მაგრამ 24-ში ძირითადად მოთამაშე ელიმელიხს გაუტანა შორიდან. თუმცა ქეცბაიას პირველ და არჩილ არველაძის გოლებს შორის მიზრახმაც გაასარა თავისიანები. და ეს სწორედ მაშინ, როცა სტუმრები ტემპს ოდნავ მაინც უმატებდნენ და ჩვენებურთ მიზანმიმართულად შეუტევენ. მიოლერ-ნილსენმა კი თქვა, ჩემი ფეხბურთელები დუნედ თამაშობდნენ.

ახლა ერთიცაა აღსანიშნავი, საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ფეხბურთელები მთელი მატჩის განმავლობაში სულ 12-ჯერ დაჯარიმდნენ. როგორ ფიქრობთ, ბევრია ეს თუ ცოტა? კარგია თუ ცუდი? რა თქმა უნდა, კარგია როცა ფეხბურთელები დაჯარიმებას ერიდებიან და სუფთად თამა-

შობენ, მაგრამ მაშინ, როცა ამის თაობაზე მწვრთნელებს ფეხბურთელებთან საგანგებოდ აქვთ ნალაპარაკევი და შესაბამისად დარიგებულნი, თორემ სხვა მხრივ, ეს გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე, მეტყველებს. ჯარიმის „აკიდება“ ხომ თავისებური ხერხიც არის მეტოქემ სწრაფ კონტრშეტევაზე რომ არ „დაგვიბროს“. აბა გაიხსენეთ იტალია-საქართველო. რამდენჯერ დაჯარიმდა ფრანჩესკო ტოტი ქართველთა ნახევარზე. ეს ტაქტიკური ჯარიმები იყო, ტოტიმ იცოდა რას და რისთვის აკეთებდა. იცის მიორლერნილსენმაც.

იცის კი ჩვენმა ნაკრებმა რას და რისთვის აკეთებს?



მსოფლიოს ჩემპიონატის უმსარჩემი ეტაპი აპროკა

III ჯგუფი						
მალტა 1:4 ისლანდია						
ჩეხეთი	5	3	2	0	6:0	11
ბულგარეთი	5	3	1	1	10:6	10
დანია	5	2	3	0	9:3	9
ისლანდია	5	2	0	3	7:9	6
ჩრდ. ირლანდია	5	1	1	3	5:7	4
მალტა	5	0	1	4	1:13	1

I ჯგუფი						
იუგოსლავია 0:1 რუსეთი						
რუსეთი	5	4	1	0	7:1	13
შვეიცარია	5	2	2	1	13:5	8
სლოვენია	5	1	4	0	8:7	7
იუგოსლავია	4	1	2	1	4:3	5
ფარერები	4	1	1	2	5:8	4
ლუქსემბურგი	5	0	0	5	1:14	0

II ჯგუფი						
ირლანდია 3:1 ანდორა						
ჰოლანდია 4:0 კვიპროსი						
ირლანდია	6	4	2	0	15:4	14
ჰოლანდია	6	3	2	1	17:6	11
პორტუგალია	5	3	2	0	11:4	11
კვიპროსი	6	2	1	3	10:16	7
ესტონეთი	5	2	1	2	6:8	7
ანდორა	8	0	0	8	4:25	0

VI ჯგუფი						
ლატვია 1:1 სან მარინო						
შოტლანდია	5	3	2	0	10:3	11
ბელგია	4	2	2	0	16:3	8
ხორვატია	3	1	2	0	5:2	5
ლატვია	5	1	1	3	3:10	4
სან მარინო	5	0	1	4	2:18	1

VII ჯგუფი						
ავსტრია 2:0 ლიხტენშტაინი						
ავსტრია	5	3	2	0	7:3	11
ესპანეთი	4	3	1	0	10:2	10
ისრაელი	4	2	0	2	6:5	6
ბოსნია	4	1	1	2	6:6	4
ლიხტენშტაინი	5	0	0	5	0:13	0

პეოტსეადფინალი

ლიდს იუნაიტედი — დეპორტივო 0:2 (3:0)
 ვალენსია — არსენალი 1:0 (1:2)
 ბაიერნი — მანჩესტერ იუნაიტედი 2:1 (1:0)
 რეალი — ბალატისონა 3:0 (2:3)

REUTERS



ბაიერნი - მანჩესტერი 2:1, მიუნხენულ ჯოვანი პლუბარს (№9) ინვლისალთა პარვი გოლი გააქვს

გიორგი დარჯანი



საპასუხო მეოთხედფინალური მატჩების წინ „ბაიერნი“, „ვალენსია“, „ლიდსი“ და „არსენალს“ შეეძლოთ, მიზნად დაესახათ, თვინდ

გოლს ნუ გავეშვებით და ტაქტიკაც შესაბამისად აერჩიათ პირველი მატჩები მოგებული ჰქონდათ.

ამ თითქოსდა ყველაზე მარტივ გზას მხოლოდ „არსენალი“ დაადგა და დაიხაჯა. საინტერესოა, რისი იმედი ჰქონდა არსენ ვენგერს, ნუთუ იმისი, რომ ბებერი მგელი ტონი ადამსი ერთხელაც არ შეცდებოდა? ან იქნებ იმისი, რომ დევიდ სიშენი ისე თამაშებდა, როგორი თამაშიც მისგან გარეა ხანია აღარ გვახსოვს?

რა შეიცვლებოდა, „არსენალს“ შემტევი ფეხბურთი რომ ეთამაშა? ეგებ, არაფერიც და საერთოდ, ამგვარ კონსერვატივულ პოზიციას ერობო რთული რამაა, თუმცა ყოველ შემთხვევაში ლონდონელების უსუსურობას არ ვნახავდით, ან როდემდე უნდა გამართლებოდა „არსენალს“ ასეთი ტაქტიკით? ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში „ბაიერნთან“ აშკარად გაუპართლა, რადგან მისი ბუდი „ლიდსის“ ხელში იყო და ფრანგებმა ვერ ივარჯეს.

რა ჰქონდათ თავიდან გულში სტამბოლელებს აბა, რა ვიცით, თუმცა „ბერნაბეუზე“ პირველი გოლი ძალიან ძალე გაუშვეს და იძულებულნი იყვნენ შეტევაზეც ეფიქრათ. არაფერი გამოუვიდათ, რადგან მათ არსენალში ერთადერთი იარაღი ჰქონდათ — მეტოქის პროვოკაციაზე წამოგება. ეს „ვალენსიასთან“ ჩვეული სტილია. „რეალთან“ ამან არ გაჭრა, თუნდაც იმიტომ, რომ შესრულება არ უვარგოდათ. წარმოიდგინეთ:

ტოგანს ტრიბუნებიდან რაღაც ესროლეს და ფიზიკის ყველა კანონის მიხედვით ეს საგანი მას მარჯვენა საფეთქლის არეში უნდა მოხვედროდა. მსროლელმა მიზანს ააცილა, ხოლო ფეხბურთელმა ხელი... მარცხენა მხარეს წაიშინა, ვაი, გამარტყესო. თამაშის მერე თურქთა მწვრთნელი მინა ლუქსეცუც მისდგა და მსაჯი ლანძღა, უნებად ცდებოდათ, თითქოს „ვალენსია“ გავარდნის მიზეზი მართლაც ეს იყო. არადა, თურქებმა სტამბოლში თითქმის შეუძლებელი შეძლეს — ტაიშს 0:2 აგებდნენ და „რეალს“ სამი გოლი გაუტანეს. საფიქრებელია, რომ ეს მადრიდელთა ყურადღების მოდუნების ბრალი უფრო იყო, ვიდრე სტამბოლელთა ყოჩაღობისა.

შეგეცოდება „დეპორტივო“. „რეალსორზე“ ცალკარა იყო გაჩაღებული, ლაკორუნიელები თავზე ასხდნენ „ლიდსს“, თრი გოლი გაუტანეს, ძელები დახეთქეს და ნახევარფინალის მიღმა კი დარჩნენ. მაგრამ აბა, მეორე მხრიდანაც შევხვდით. „ლიდსი“ არ იყო, „დეპორტივოს“ „ელანდ

როდზე“ სამი უპასუხო გოლი რომ შეუგდო? პოდა, რაკი ფეხბურთში გოლების შეფარდებას ითვლიან და არა ძელებისთვის გარტყმას ან ბურთის ფლობის პროცენტს, „ლიდსიც“ ნადღად იმსახურებდა საუკეთესოთა თხეულში ყოფნას.

და „მანჩესტერი“. ამ გუნდმა სეზონი დაწყებიდან თრ კვირაში დაასრულა. ეს ჩვენი აზრი არაა, სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა ასე პირველი მატჩის წინ, სეზონი ჩვენთვის ახლადა იწყება.

კი ბატონო, „ოლდ ტრეფორდზე“ პირველივე წუთებზე გააფრთხილეს დევიდ ბექემი, რის შემდეგაც ვიტორიას ქმრისგან აჩრდილიდა დანა, ხოლო საპასუხო მატჩი გამოტოვა, თლივერ კანმა რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგვრია, მუჰმეთ შოლმა ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა, მაგრამ რეალურად „მანჩესტერმა“ „ბაიერნი“ მხოლოდ ერთ რამეში დაჩაგრა — დუაიტ იორკი და პატრიკ ანდერსონი თავებით რომ შეასკდნენ, მიუნხენელს წარბი გაუსკდა, მანჩესტერელს კი არა.

ნახევარფინალი

ლივერპული — ბარსელონა 1:0 (0:0)
 ალბანსი — კაიზერსლაუტერნი 4:1 (5:1)



ანი, კიდევ ერთი არგუმენტი მათთვის, ვინც ამტკიცებს, რომ უეფას თასმა მომხიბვლებლობა დაკარგა — ნახევარფინალში „ალავესი“ და „კაიზერსლაუტერნი“ გავიდნენ და ეს პანელებმა გერმანელებს ორი მატჩის ვაჰში 9:2 მოუგეს, რაც მეტისმეტად დიდი სხვაობაა ნახევარფინალისთვის. რა გუნდები? „კაიზერსლაუტერნი“ რამდენიმე წლის წინ მეორე ბუნდესლიგის ბინადარი იყო, ხოლო „ალავესი“ ხულაც ესპანეთის მეო-

თხე დივიზიონში ბოვინობდა. დღეს „ალავესი“ უეფას თასის ფინალისტი და თუ რაიმე კარგი შემორჩენია ამ ტურნირს, სწორედ ეგაა, რომ უსახელო გუნდს სახელის მოხვეჭა შეუძლია.

გვახსენდება, ნახევარფინალის ფინალის წინ ხალხი წინასწარ ელოდა „ლივერპული“ — „ბარსელონას“ ფინალს, თუმცა იმასაც შიშობდნენ, ესენი ნადრევედ არ გადაეყარონ ერთმანეთს. ისიც გვახსენდება, ინგლისელთა ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე პირველი მატჩის წინ 5:5-ს რომ წინასწარმეტყველებდა და ვაჰში კი ერთი გოლი მივიღეთ.

თუმცა გოლთა სიმწირე დიდმა დაძაბულობამ აკვინაზღაურა — განსაკუთრებით „ენფილდზე“. დასაწყისშივე რივალდომ ერთი ისეთი გაის-

როლა, მაგრამ... მგონი, სანდერ ვესტერფელდი ჰოლანდიის ნაკრებში ვანდერ საარის ადვოლს უმიზნებს.

მერე იყო კლუივერტის ხელი. ბლომად რაღაცეები გავიხსენეთ და ერთიც დავუმატეთ. თამაშის წინ ჟერარ ულიე ამბობდა, კლუივერტს უნდა ვუფრთხილდეთ, ხოლო ლორენს სერა ფერერმა, თუ ვინმე გაიტანს, უპირველესად კლუივერტი. ის კი ბურთს ხელით შესწვდა.

შესწვდა და „ბარსელონაც“ გავარდა. „ლივერპული“ კი წლეულს მესამე ფინალისთვის ემზადება — ინგლისის ლიგის თასი მოივო, ასოციაციის თასს უმიზნებს, ბოლოს კი მორტემუნდელი ფინალი ელის, რომელიც უმნიშვნელოვანესი იქნება „ალავესის“ ისტორიაში, თორემ „ლივერპულს“ რომ თასები მოუგია...

სენსაცია აფრიკაში

ის რაც სამხრეთ აფრიკის კარნაგალ სიტყვაში მონდა, დიდი სენსაციაა.

მსოფლიოს უდავო ჩემპიონმა, ბრიტმა ლუისმა ლუისმა მეხუთე რაუნდში ნაკაკუტით წააგო თავისი ყველა ტიტული არცთუ განთქმულ ამერიკელ პასიმ რაჰმანთან.

ბალტიმორელმა რაჰმანმა მოახერხა და ერთი ძლიერი, მეტად იმბლიანი დარტყმით დასცა ლუისი, რომლის გამოც ბრძოლის წინ ბევრს ფორიაქობდნენ. კრივი აღარ აინტერესებს და სვირიანად არც მომზადებულაო. ლუისმა უარყო ეს ნიშები და ბრძოლისშემდგომი პრესკონფერენცია სიცილ-ხარხარში გაატარა რაჰმანს ძმურად გადაეხვია და იმბლიანი დარტყმაც შეუქო.

თავის მხრივ ამერიკელმა თქვა, რე-შატნი სიამოვნებით შეეხვებოდა ბრიტსო. მცოდნე ხალხის მოწმობით, რე-შატნის საკითხი ამ ორთა კონტრაქტში იმთავითვე ყოფილა ჩადებული. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რდღის გაიმართება ბრძოლა.

შანამდე კი მძიმე წონის ორ მთაგარ ქაშარს პასიმ რაჰმანს ფლობს.





RHEINSTADION DUESSELDORF
DYNAMO TIFLIS - CARL ZEISS JENA
2 : 1
0:1 HOPPE 3
1:1 GUZAJEH 9
2:1 DARRASSELLIJA
63. MIN.
67. MIN.
87. MIN.
FINALE EUROPAPOKAL POKALSIEGER

MOH calculators



TOYOTA

SIKK SEI

Carat